10.10. 2025 აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო/ბატონო

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რამდენი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა მიმდინარეობს; რომელ სკოლაში შენდება დამატებითი კორპუსი (ფართოვდება), რამდენ სკოლას უტარდება რეაბილიტაცია, რა ეტაპზეა სამუშაოები - მიუთითეთ სკოლის დასახელება, ლოკაცია, ვისი დაფინანსებით შენდება/რეაბილიტირდება (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე მინიჭებული ნომერი)

- არსებული სკოლებდან, რომელში ვერ განახლდა საგანმანათლებლო პროცესი ახალი სასწავლო წლის დაწყების დღეს, რატომ ვერ განახლდა და როდის იგეგმება განახლება?

- რამდენი მოსწავლე საჭიროებს ამ სკოლებიდან ტრანსპორტირებას (მიუთითეთ სკოლების მიხედვით), რომელ სკოლებში ხდება მათი ტრანსპორტირება;

- ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯი (მიუთითეთ სკოლების მიხედვით);

- რა მოცულობის თანხა დაიხარჯა ტრანსპორტირებაზე გასულ სასწავლო წელს და რამდენი მოსწავლის ტრანსპორტირება ხდებოდა

- რა მოცულობის თანხაა გათვლილი ტრანსპორტირებაზე ჯამურად ახალ სასწავლო წელს

გთხოვთ, ინფორმაცია მომაწოდოთ ელექტრონული სახით, ქვემოთ მითითებულ მეილზე:

editorrekhviashvili@gmail.com

გმადლობთ წინასწარ.
პატივისცემით,

ნაზიბროლა რეხვიაშვილი

პ/ნ 62011003485
მისამართი:
ბათუმი, წერეთლის ქ. 6, ბ. 43,
ტელ. 557 20 00 01